ელის მანრო

ძვირფასი სიცოცხლე

დიდ ბენეს
ბიბლიოთეკა

ელის მანრო

ძვირფასი სიცოცხლე

Alice Munro
DEAR LIFE

ინგლისურიდან თარგმნა გია ჭუმბურიძემ

Canada Council for the Arts
Conseil des arts du Canada

We acknowledge the support of the Canada Council for the Arts for this translation.

ქართული წიგნის ეროვნული ცენტრი

წიგნი გამოიცა ქართული წიგნის ეროვნული ცენტრის და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით.

გარეკანზე: ტომ თომსონის „შემოდგომის ფოთლები“ (ფრაგმენტი)

© 2012 by Alice Munro
All rights reserved.

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2015
ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-11-492-2

www.diogene.ge

სარჩევი

წინ, იაპონიისაკენ!	•	7
ამუნდსენი	•	33
მეივერლიდან წასული	•	67
კარიერი	•	87
ნავსაყუდელი	•	105
სიამაყე	•	127
კორი	•	145
მატარებელი	•	165
ტბის პირას	•	197
დოლი	•	211
თვალი	•	233
ღამე	•	245
ხმები	•	257
ძვირფასი სიცოცხლე	•	269

წინ, იაპონიისაკენ!

როგორც კი ჩანთა ვაგონში აატანინა, პიტერი წამსვე დაფაცურ-
და – ჩამოსვლა მოვასწრო, სანამ მატარებელი დაიძვრებაო. მერე
ბაქანზე დადგა ფანჯრის ქვეშ, ხელს უქნევდა, ულიმოდა, ბოლოს
სულაც ორივე ხელს ერთად უქნევდა... ფიქრადაც ვერ გაივლებ-
და, თუ შეიძლებოდა მისი ცოლ-შვილი ოდესმე ისეთივე ძვირფასი
აღარ ყოფილიყო მისთვის, ის კიდე – მათთვის... მეუღლეს ხომ
მუდამ ამნაირად ულიმოდა ხოლმე – იმედიანად, რწმენით, თითქოს
რაღაცნაირად მიზანდასახულად – ამას სიტყვებით ვერაფრით გა-
მოხატავდი. აი, გრეტასაც რომ ეცადა, ეტყოდა, ნუ იგონებ რაღა-
ცასო, და ალბათ ისიც დაეთანხმებოდა: მართლა უცნაური ჩანდა,
ერთად გატარებული ცხოვრების შემდეგ რაღაც ახსნა-განმარტე-
ბები დასჭირვებოდათ.

პატარა პიტერმა და დედამისმა რომელიღაც უღელტეხილი
სულ ხელჩაკიდებულებმა გადმოიარეს – სოციალისტური ჩეხოს-
ლოვაკიიდან დასავლეთ ევროპაში გარბოდნენ. მათთან ერთად
სხვებიც იყვნენ, რაღა თქმა უნდა, ოღონდ არა – მამამისი: ზედ
გაქცევის წინ ცუდად გახდა და საავადმყოფოში გააქანეს. კი ამ-
შვიდებდა ცოლს, გზაში დაგეწევითო, მაგრამ ამის მაგივრად აიღო
და მოკვდა.

– რაღაც ასეთი წიგნებში წამიკითხავს, – უთხრა გრეტამ, რო-
ცა პიტერი პირველად მოუყვა ამ ამბავს. – ოღონდ იქ დედა სა-
კუთარ ჩვილს ახრჩობს, მისმა ტირილმა რომ ჯგუფის დანარჩენი
წევრები არ გასცეს.

– არაფერი ეგეთი არასოდეს მსმენია, – უპასუხა პიტერმა და
დასძინა: – აზრზე არა ვარ, დედაჩემი რას იზამდა მაგ შემთხვევაში.

დედამისმა კი ის ქნა, რომ ბრიტანეთის კოლუმბიას გაემგზავრა, ინგლისურში გამოიჯეკა და მასწავლებლის ადგილიც იშოვა – მაშინ იმ საგანს „უფროსკლასელთათვის ბიზნეს-ენის ათვისების პროგრამას“ ეძახდნენ. მთლად მარტოხელამ გამოზარდა პიტერი და კოლეჯშიც კი გაამწესა, რის შედეგადაც ბიჭი ინჟინერი გახდა. მერე, პიტერსა და გრეტას რომ სტუმრობდა ხოლმე – ჯერ ბინაზე, შემდეგ კი უკვე მათ საკუთარ სახლში – დედამისი მუდამ სასტუმრო ოთახში ჯდებოდა და ფეხსაც არ იცვლიდა იქიდან, თუკი თავად გრეტა არ უხმობდა სამზარეულოში. ასეთი ხასიათი ჰქონდა. არაფერს იმჩნევდა, არაფერში ერეოდა, სიტყვას არ ჩააგდებდა, თუკი არ სთხოვდნენ. დაუკითხავად რჩევების მიცემაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო, თუმცა ოჯახის გაძღოლის საქმეში რძალი მასთან ახლოსაც ვერ მოვიდოდა.

ისიც სათქმელია, რომ დროულად გადავიდა ბინიდან, სადაც პიტერი გაიზარდა, და მომცრო ერთოთახიანი შეიძინა, რომელშიც საწოლის მაგივრად, გასაშლელი ტახტი ედგა. „მაშ, პიტერი დედიკოს ვეღარ ესტუმრება ხოლმე, ღამისთევით?“ – შიგადაშიგ გაკრავდა ხოლმე კბილს გრეტა, მაგრამ იმას ამგვარი ხუმრობები არათუ არ ესმოდა, სადღაც გულსაც კი სტკენდა. იქნებ ენის ბრალი იყო? მაგრამ რა ხანია, ინგლისური მისთვის ლამის მშობლიური გამხდარიყო და პიტერმაც ხომ სხვა ენა არც იცოდა... და ის „ბიზნეს-ენა“ მანაც რიგიანად აითვისა დედამისისგან, მაშინ როცა გრეტა „დაკარგულ სამოთხეს“ უკირკიტებდა. მის ცოლს ჭირივით სძულდა ყველაფერი, რაშიც თუნდაც მისხალი სარგებელი შეეძლო ენახა. პიტერი კიდე, თითქოს ჯინაზეო, მთლად საპირისპიროს სჩადიოდა.

ახლა მათ შორის შუშის კედელი აღმართულიყო და ორივენი თავგადაკლული გულმოდგინებით იქნევდნენ ხელებს, სახეზე კი მთლად კომიკური გულითადობა გამოსახოდათ. გრეტამ ერთი პირობა გაიფიქრა კიდეც, რა მშვენივრად გამოიყურება ეს ჩემი ქმარიო – თმა სამხედრო ყაიდაზე, მოკლედ ჰქონდა შეკრეჭილი: ბოლოს და ბოლოს, ინჟინერს სხვანაირი ვარცხნილობა არც ეკადრებოდა; კანი ღია ფერისა ჰქონდა, ოღონდ ცოლისაგან განსხვავე-

ბით, არასოდეს წითლდებოდა და წლის ნებისმიერ დროს თანაბრად იკიდებდა მზეს.

მისი მოსაზრებებიც რაღაცით მისსავე სახის კანს მოგაგონებდათ: კინოდან დაბრუნებულს, არასოდეს უჩნდებოდა სურვილი, ნანახის თაობაზე ემსჯელა – უბრალოდ, იტყოდა, მაგარი იყოო, ან – არცთუ ურიგოო, ან – ისე რაო. ვერავითარ აზრს ვერ ხედავდა იმაში, უფრო ღრმად ჩაძიებოდა საკითხს. ტელევიზორსაც ასე უყურებდა და წიგნებსაც ასევე კითხულობდა – გულმოწყალედ: ხალხმა იწვალა, იშრომა და, ცხადია, როგორც შეეძლო, ისე გააკეთაო. თავიდან გრეტას მეტისმეტად აღიზიანებდა ამგვარი აგდებული დამოკიდებულება და ბრაზიანად ეკითხებოდა ხოლმე: დაიცა რა, ხიდზე რომ იყოს საქმე, მაშინაც ასე იჭიკჭიკებდი: რაც შეეძლოთ, ის გააკეთეს და რა ამათი ბრალია, ხიდი თუ ჩაინგრაო?!

მაგრამ ქმარი კამათში კი არ ჰყვებოდა, მხოლოდ გაიცინებდა ხოლმე და ეგ იყო.

მერე კი დაამატებდა – ეგ სულ სხვა საქმეაო.

– არა, მართლა სულ სხვა?

– კი, ეგრეა.

გრეტას რომ ჭკუა ყოფნოდა, ამას ღვთის წყალობად მიიჩნევდა, რადგან თავად პოეტი იყო და მის ლექსებში ბლომად იყო ისეთი ადგილები, კარგ განწყობაზე რომ არ დაგაყენებდა კაცს და ასევე, ძნელად ასახსნელიც...

დედამთილიცა და პიტერის რამდენიმე თანამშრომელიც – ვინც კი ეს ამბავი იცოდა – „პოეტ ქალს“ უძახდნენ. თავად პიტერი ამ სიტყვათშეხამებას გადააჩვია. დანარჩენ ნაცნობებს კიდე მისი ამ პატარა უცნაურობის თაობაზე არც არაფერი სმენოდათ.

წლების შემდეგ უკვე გაუჭირდებოდა იმის ახსნა, იმ დროს რა იყო მიღებული და რა – არა: მაგალითად, ფემინიზმი მიუღებელი გახლდათ, ოღონდ ეგეცაა, რომ მაშინ თავად ამ სიტყვასაც არ იცნობდა ხალხი; ამას კი უცილობლად უნდა მოჰყოლოდა ახსნა-განმარტებაც, რომ ქალის მხრიდან ნებისმიერი ჭკვიანური აზრის გამოთქმა, ნამდვილი წიგნის წაკითხვა ან კარიერული მისწრაფე-

ბანი უკვე თავისთავად ხდებოდა ეჭვის საბაბი. შენს შვილს თუ ფილტვების ანთება დაემართებოდა, ისიც კი ამას დაბრალდებოდა. კორპორატიულ წვეულებაზე პოლიტიკის შესახებ თუნდაც სასხვათაშორისოდ დაგდებული რაიმე გამონათქვამი კი ვაითუ შენს ქმარს დასჯდომოდა ძვირად.

აი, მოუყვებოდა ვინმეს ეგეთ რამეს და სიცილს დაიწყებდნენ ხოლმე: ხუმრობთ ალბათო. ის კიდე პასუხობდა: არც იმდენად – ალბათ უფრო სანახევროდო. მერე კი დაამატებდა: „თუმცა ერთს მაინც გეტყვით: ლექსების წერა ქალისთვის მაინც უფრო შესაფერის საქმედ ითვლებოდა“. აი, აქ კი ცნება „პოეტი ქალი“ მართლა გემრიელად ჯდებოდა ენაზე – შაქრის ბამბის ქულასავით ტკბილად და ნაზად. „ჩემი ქმარი მთლად ბოლომდეც არ იზიარებდა ამ თვალსაზრისს, ოღონდ ის ხომ მაინც ევროპაში დაიბადა... ისე კი სავსებით გაუგებდა თავის თანამშრომლებს, რა დამოკიდებულებაც უნდა ჰქონოდათ კაცებს ამისთანა რამეების მიმართ“.

იმ ზაფხულს პიტერს თვეზე მეტის გატარება მოუწევდა ლანდის მხარეში ჩასატარებელი სამუშაოების ზედამხედველად, უკიდურეს ჩრდილოეთში, სადაც კეიტისა და გრეტას ადგილი ნამდვილად არ იყო.

მაგრამ ეგ არაფერი – გრეტას ერთი მეგობარი ქალი ჰყავდა, ვისთან ერთადაც თავის დროზე ვანკუვერის ბიბლიოთეკაში ემუშავა; ის ქალი გათხოვილიყო და ახლა ტორონტოში სახლობდა, თუმცა ერთმანეთთან მიწერ-მოწერა მაინც არ შეეწყვიტათ. სწორედ იმან მოსწერა – მე და ჩემი მეუღლე ერთი თვით ევროპაში ვაპირებთ გამგზავრებას და სურვილი ხომ არ გექნება, ამ დროით ოჯახიანად ჩვენს სახლში დაბინავდეო? მისი მთლად ასე უპატრონოდ მიგდებაც არ მეპიტნავებაო. გრეტამ კი შეუთვალა, პიტერის რა გითხრა, მაგრამ მე და კეიტი კი დიდი სიამოვნებით ჩამოვალთო.

აი, ამიტომაც უქნევდნენ ახლა ხელს ერთმანეთს: პიტერი – ბაქნიდან, დედა-შვილი – მატარებლის ფანჯრიდან.

იმხანად ტორონტოში ასეთი ჟურნალი გამოდიოდა – „ექოს მოძახილი“. გრეტას რამდენიმე ლექსი გაეგზავნა იქ და მათგან ორი ცალი დაებეჭდათ კიდეც. მერე, უკვე გასულ ზაფხულს, ჟურნალის მთავარი რედაქტორი ჩამოვიდა ვანკუვერში და მასთან შეხვედრაზე, სხვებთან ერთად, გრეტაც მიიპატიჟეს. თავყრილობა ერთი იმისთანა მწერლის სახლში უნდა გამართულიყო, რომლის სახელიც გრეტას ლამის ბავშვობიდან ესმოდა, ოღონდ, რატომღაც, ნასამხრევს დანიშნეს, როცა პიტერი ჯერ ისევ სამსახურში იქნებოდა. ამიტომაც მოუწია, ძიძა დაექირავებინა, თავად კი ავტობუსში ჩაჯდა და, ლომების ხიდისა და სტენლის პარკის გავლით, ქალაქის ჩრდილოეთ ნაწილში ამოყო თავი. მერე – კიდევ ერთი გადაჯდომა. კარგა გვარიანი გზის გავლა მოუწია საუნივერსიტეტო კამპუსამდე, სადაც ის მწერალი ცხოვრობდა. შუკა-შუკა დაუყვა ოკრობოკრო, შუასაუკუნეების სტილში დაგებულ ქუჩებს – საჭირო ნომერს ეძებდა. ცოტა კი გაუჭირდა – მაღალქუსლიანი ფეხსაცმელები ეცვა და ძალიან ფრთხილად მიაბიჯებდა ქვაფენილზე. თან კაბაც მეტად მოუხერხებელი შეერჩია ამგვარი სეირნობისთვის: შავი, მაღალსაყელოიანი, წელსა და ფეხებზე შემოტმასნილი... რაღაც სიურრეალისტურად კი გამოვიყურებიო, გაიფიქრა. ამგვარად გამოწყობილი ქალი მარტო რომ მიაბიჯებს ჩამავალი მზის მიბნედილ ნათელშიო. ეს სახლებიც რაღაც უცნაური ეჩვენა – მეტისმეტად თანამედროვე, პანორამული ფანჯრებით. ერთი პირობა ისიც კი გაიფიქრა, ვაითუ მისამართი შემეშალაო, მაგრამ სწორედ ამ დროს მიადგა საჭირო ადგილს, გარშემო სულ ახალთახალი მანქანები რომ ეყენა. შესასვლელი კარის უკნიდან გვარიანი ხმაური გამოდიოდა და გრეტას ორჯერ მოუწია დარეკვა, ვიდრე თავის მოსვლას გააგებინებდა ვინმეს.

კარი ქალმა გაუღო, რომელიც აშკარად სხვას ელოდა. გულთბილი მისალმებით თავი არ შეუწუხებია, ის კი არა, სტუმრის შეპატიჟებასაც არ აპირებდა. გრეტამ ჰკითხა, წვეულება ხომ აქ იმართებაო?

– რა, თვითონ ვერ ხედავ? – უპასუხა ქალმა და ზღურბლზე გაჩერდა. ფეხი არ მოუცვლია, სანამ გრეტამ არ ჰკითხა:

– შეიძლება შემოვიდე?

გზიდან გაჭირვებით ჩამოეცალა. არაფერი უთქვამს, მაგრამ გრეტა მაინც შეჰყვა სახლში.

ხალხი ბლომად იყო, ოღონდ მას არავინ გამოლაპარაკებია. ალბათ არც კი შეუმჩნევია არავის, მხოლოდ ვიღაც მოზარდი გოგონა მიუახლოვდა გამტკნარებული სახით და ლანგარი გაუწოდა, ზედ ჩამოლაგებული ჭიქებით. რაღაც გაუგებარი სასმელი იყო – ვარდისფერი და შუშხუნა, უფრო კოქტეილს ჰგავდა. გრეტამ ჯერ ერთი ჭიქა აიღო და გადახუხა – ძალიან კი მოსწყურებოდა ამდენ სიარულში, და მერე მეორეც ზედ მიაყოლა. გოგონას მადლობა გადაუხადა და საუბარი წამოიწყო იმაზე, თუ რამხელა გზა გამოიარა ამ სიცხეში, მაგრამ ის ოდნავადაც ვერ დააინტერესა. გოგონამ ზურგი აქცია და თავისი საქმე განაგრძო.

გრეტა ხალხს შეერია. იღიმებოდა. არავინ სცნობდა და მისი დანახვა არავის უხაროდა. რატომ უნდა გახარებოდათ? თვალს შეავლებდნენ და ისევ საუბრის თემას უბრუნდებოდნენ. იცინოდნენ. გრეტას გარდა ყველას ჰყავდა მეგობრები და ჰქონდა მოსაყოლი: სასაცილო ისტორიები თუ პატარ-პატარა საიდუმლოები. როგორც ჩანს, ყველას ეპოვა ვიღაც, ვისაც მისი დანახვა უხაროდა – იმ მოზარდების გარდა, პირქუშად რომ დაატარებდნენ ვარდისფერ სასმელებს.

იმ ვარდისფერმა სასმელმა ისე შეულიტინა ტვინში, ეს ამბავი აინუნშიც არ ჩაუგდია – ერთი ჯგუფიდან მეორეში გადადიოდა და უარს არ იყო, კიდევ დაელია, თუკი ის გოგონა ჩაუვლიდა ახლომახლო. უცბად რაღაც საუბარს მოჰკრა ყური – ახალ ევროპულ ფილმებზე ლაპარაკობდნენ, რომლებსაც იმხანად ვანკუვერში აჩვენებდნენ. ნაცნობი სათაურიც მოესმა: „ოთხასი დარტყმა“[1].

– ეგ ნანახი მაქვს! – შესძახა გახარებულმა. – მე და ჩემმა ქმარმა ერთად ვნახეთ...

---

[1] ფრანსუა ტრიუფოს სადებიუტო ნამუშევარი, ფრანგული ე. წ. „ახალი ტალღის“ საკულტო ფილმი (სათაური იდიომატური გამოთქმაა და *ზრდილობის ზღვარზე ქცევას, ზნეობრივი ნორმების უგულებელყოფას* ნიშნავს).

– მართლა? – თითქოს გაიკვირვა ვიღაცამ, როგორც ჩანს, ჯგუფის აღიარებულმა თავმა.

რა თქმა უნდა, გრეტა უკვე კარგა ნასვამი გახლდათ. ჯინი და ვარდისფერი გრეიპფრუტის წვენი სვა. ამიტომაც ეს ირონიული შეკითხვა აინუნშიც არ ჩაუგდია და ახლა სხვა ჯგუფს მიადგა. ბოლოს და ბოლოს, არც ვინმესთან დამეგობრებას აპირებდა და იმის უფლებაც ჰქონდა, ნებისმიერ საკითხზე გამოეთქვა საკუთარი აზრი.

იქვე თაღქვეშ რამდენიმე კაცი იდგა – ანგარიშგასაწევი პიროვნებები. მათ შორის მასპინძელიც დაინახა – მწერალი, ვისი სახე და სახელიც მისთვის ასეთი ნაცნობი იყო. ხმამაღლა საუბრობდა, სახეწამოწითლებული. მის გარშემო რაღაც დაძაბულობა შეინიშნებოდა – თითქოს ის კაცები, ცოტაც და, შეურაცხყოფას მიაყენებდნენ.

აი, ის ქალიც, კარი რომ გაუღო. დაუძახეს და გრეტას გვარი ეცნო – მისი მოთხრობაც სწორედ იმ ნომერში დაებეჭდათ, სადაც თავად გრეტას ორი ლექსი იყო გამოქვეყნებული. ერთი პირობა კი იფიქრა, მივალ, გამოვეცნაურები, როგორც ტოლი ტოლსო, მაგრამ ის ისე ტკბილად ჩახვეოდა ვიღაც მაიმახს, ახლა მათთვის ხელის შეშლა არ იქნებოდა.

ამდენი ფიქრისაგან თავიც კი წამოსტკივდა და გადაწყვიტა, ცოტა ფეხებს დავასვენებო, მაგრამ რაკი ოთახში სკამების ნაკლებობა იყო (უფრო სწორად, ერთიც არ იდგა) აიღო და პირდაპირ იატაკზე ჩაჯდა, კუთხეში. აი, სწორედ მაშინ იყო, ბრძნულმა აზრმა რომ გაუელვა თავში: პიტერთან ერთად რომ დავდიოდი ხოლმე ინჟინრების კორპორატიულ წვეულებებზე, საუბრები იქ მაგარი მოსაწყენი იყო, ოღონდ ყველა გულითადად კი ეპყრობოდა ერთმანეთსო; და ეს ალბათ იმიტომ, რომ ყველას წონა ისედაც ყველასთვის ცნობილი გახლდათ და უახლოეს მომავალში მაინც ამა თუ იმ ინჟინრის პროფესიულ სახელს არც არაფერი ემუქრებოდაო. აქ კი ვინმეს წამში შეეძლო მავანი, თუნდაც აღიარებული მეტრის სახელი დაეყენებინა ეჭვქვეშ, ან ძალიან ბრძნული სახე მიეღო და ვინძლო ასეთად მიეჩნიათ კიდეც.

თავად გრეტას კი ერთი სული ჰქონდა, როგორც ძაღლისთვის ძვალი, ისე მაინც გადმოეგდო ვინმეს მისთვის რამე რეპლიკა... ოღონდ ზემოხსენებული თეორიის ჩამოყალიბების მერე სულაც აღარ ადარდებდა, გამოელაპარაკებოდა ვინმე თუ არა. ფეხსაცმელები წაიძრო და უზომო შვებაც იგრძნო. მერე მესამე ჭიქაც სულმოუთქმელად გამოცალა – ფეხები ზედ ოთახებს შორის გასასვლელში გაეწვართა და იფიქრა, ემანდ არავინ წამომედოს და სასმელი არ დამაღვრევინოსო.

უცბად მიხვდა, რომ ვიღაც კაცი წამოსდგომოდა თავზე.

– აქ როგორ მოხვდით? – ჰკითხა.

ძალიან შეეცოდა მისი სულელური ფეხებიცა და საერთოდ ყველა, ვისაც კი ფეხზე დგომა უწევდა.

– მოწვეული ვარ, – გამოუცხადა ამაყად.

– ეგ გასაგებია. იმას გეკითხებით, მანქანით ხართ-მეთქი?

– არა, ფეხით მოვედი.

მერე გადაწყვიტა, სრული პასუხი გაეცა:

– ჯერ ავტობუსში ჩავჯექი, მერე კი დიდხანს ვიარე ფეხით.

მეორე კაცი, რომელიც იმ ანგარიშგასაწევ პიროვნებებს შორის იდგა, ახლა ამ ფეხსაცმელებიან კაცს ამოსდგომოდა უკან.

– მშვენიერი იდეაა, – თქვა მან. როგორც ჩანს, გრეტასთან საუბრის გაბმა უნდოდა.

პირველ კაცს გულზე არ ეხატებოდა ეს მეორე. ფეხსაცმელები აკრიფა და ქალს გამოუწოდა, მაგრამ ის უარზე დადგა – ტერფებს მტკენსო.

– მაშინ ხელით წამოიღეთ, ან მე წამოგიღებთ... ადგომა შეგიძლიათ?

იმ უფრო ანგარიშგასაწევ კაცს დაუწყო ძებნა თვალებით, მაგრამ უკვე წასულიყო. გაახსენდა, რა დაწერა კაცმა: პიესა დუხობორებზე, რამაც დიდი ხმაური გამოიწვია. ამ პიესაში დუხობორები შიშვლდებოდნენ. რა თქმა უნდა, ნამდვილი დუხობორები კი არა, მსახიობები უნდა გაშიშვლებულიყვნენ. მათ კი გაშიშვლების უფლებას არც არავინ მისცემდა.

ამის ახსნა სცადა იმ კაცისთვის, რომელიც ადგომაში ეხმარებოდა, თუმცა იმას ოდნავადაც არ აინტერესებდა ეს ამბავი. თქვენ თვითონ თუ წერთ რაიმესო, დაინტერესდა გრეტა. კაცმა აუხსნა – ჟურნალისტი ვარ, ამ სახლში შვილებთან ერთად ჩამოვედი სტუმრად, ისინი კიდე ამ სახლის პატრონებს შვილიშვილებად ერგებიანო. სწორედ ისინი დაატარებდნენ სასმელებსო, დაამატა.

– საშინელებაა, – თქვა და აშკარა იყო, ბავშვების საქმიანობას კი არა, თავად სასმელს გულისხმობდა, – ცხენს წააქცევს.

გარეთ გამოვიდნენ.

გრეტა წინდების ამარა მოაბიჯებდა, ბანცალ-ბანცალით და კინაღამ რაღაც წუმპეში ჩაკრა ფეხი.

– ნაღდად არწყია ვიღაცამ, – მოახსენა თავის გამცილებელს.

– წყალი არ გაუვა, – დაეთანხმა ისიც და რის ვაი-ვაგლახით შეჩურთა ქალი მანქანაში.

სუფთა ჰაერზე გამოსვლამ თითქოს გამოაფხიზლა, უდარდელობა ახლა უხერხულობის გრძნობითა და დარცხვენით შეეცვალა.

– მაშ, ვანკუვერის ჩრდილოეთ ნაწილში, არა? – ეტყობა, საკუთარი მისამართის თქმაც მოესწრო უკვე. – აბა, დავიძარით!

ქალს იმედი ჰქონდა, იმას მაინც არ მკითხავს, როგორ მოხვდი წვეულებაზეო – მაშინ იმის თქმაც მოუწევდა, რომ პოეტი იყო და ეს დათრობა ბოჰემური ცხოვრების წესის შესაბამის უგვან ქცევად გამოჩნდებოდა. ქუჩაში უკვე ლამპიონები ენთო. ჯერ სანაპიროს მიუყვებოდნენ, მერე რომელიღაც ხიდზე გადავიდნენ, ხეების წყებას ჩაუქროლეს. გრეტას თვალები აუჭრელდა და ისევ თავისით დაეხუჭა. მანქანა რომ გაჩერდა, აშკარა იყო, მის სახლამდე ჯერაც შორი გზა იყო. სადღაც სხვაგან იყვნენ, გარშემო ნამდვილი ტყე ეკრათ – ისეთი უსიერი, ვარსკვლავებიც კი არ ჩანდა ცაზე. უფრო სწორად, თავად ცა არ ჩანდა. ოღონდ ეგაა, იმ ადგილსა და ქალაქის ჩირაღდნებს შორის წყალი ლივლივებდა და იქ ირეკლებოდა ცაც და ვარსკვლავებიც.

– მოკლედ, ჯერ კარგად აწონ-დაწონეთ ყველაფერი.

გაშტერდა.

– რა უნდა ავწონ-დავწონო?

– ვთქვათ, შინ როგორ შეხვალთ... ზედმეტი თავდაჯერებაც არ ივარგებს. ან ისე – ვითომც არაფერიო? მეუღლე ხომ გყავთ?

– ჯერ ერთი, ის მითხარით, ვინა ხართ? აქამდე მადლობაც კი არ მითქვამს თქვენთვის...

უთხრა, უკვე ბარე ორჯერ წარმოგიდგინეთ თავიო. ჰარის ბენეტი, ჟურნალისტი. იმ ხალხის სიძე ვარ, ვის სახლშიც გაიმართა ეს ოხერი წვეულებაო. ჩემს ბავშვებს კი აიძულეს, სასმელები ეტარებინათ აქეთ-იქით, არადა, ტორონტოდან ჩამოვედით სულ რამდენიმე დღით, სტუმრადო.

– და თქვენს ბავშვებს დედა არ ჰყავთ?

– კი, ჰყავთ. ოღონდ საავადმყოფოშია.

– ე-ე... ვწუხვარ. რა დაემართა?

– ისეთიც არაფერი. ფსიქიკური პრობლემები აქვს. გნებავთ, ემოციური პრობლემები. საუკეთესო კლინიკაში გაამწესეს. სამუდამოდ.

გრეტამ იქვე გადმოულაგა, რომ ქმარი ნამდვილად ჰყავდა, სახელად პიტერი, და კიდევ – ქალიშვილი, კეიტი.

– შესანიშნავია, – თქვა ჰარისმა და მანქანა უკანა სვლით დაძრა.

ლომების ხიდზე მოულოდნელად მოუბრუნდა და დაუფიქრებლად აჯახა:

– იცით, სულ იმას ვფიქრობდი, მეკოცნა თუ არა თქვენთვის. ბოლოს კი გადავწყვიტე, არ ღირს-მეთქი.

ოღონდ ქალმა ეს ისე გაიგო, თითქოს რაღაც არ მოეწონა მასში და ამიტომაც აიღო განზრახვაზე ხელი. ამისთანა შეურაცხყოფისაგან წამში გამოფხიზლდა.

– ახლა კი მარცხნივ უნდა გავუხვიოთ, ეგრეა? – ვერაფერი შეამჩნია მძღოლმა. – მითხარით, როდის...

მერე ჯერ შემოდგომა მოვიდა, მერე, როგორც წესია, ზამთარიც დადგა, ქალი კიდე ლამის ყოველდღე იხსენებდა ამ შეხვედრას. ხანდახან იმასაც კი წარმოიდგენდა ხოლმე, დივანზე ვარ გადაწოლილი და იმ კაცს მკლავებში ვყავარ მომწყვდეულიო. წესიერად ერთხელაც არ შეუხედავს მისთვის, მაგრამ სულ გამოწვლილვით ახსოვდა მისი სახე: დაღარული პირისკანი, დაღლილი გამომეტყველება, ირონიული გამოხედვა... მისი სხეულიც კი – ზომიერად უვარჯიშებელი, კარგ მდგომარეობაში, სასურველი...

ზოგჯერ, სრულიად მოულოდნელად, ცრემლებიც კი წასკდომია მისი მონატრების გამო. თუმცა საკმარისი იყო, პიტერი დაბრუნებულიყო სამუშაოდან, რომ ეს უაზრო ფანტაზიები წამში გამქრალიყო. მათ ადგილს ცოლქმრული ერთობის მყარი, საიმედო, ყოველდღიური გამოვლინებები იკავებდა.

კაცმა რომ თქვას, მისი ეს ზმანებები რაღაცით ვანკუვერულ ამინდს წააგავდა: შეუძლებლის მონატრება, ნაღვლიანი განწყობა, სევდანარევი წვიმა, გაუგებარი გულდამძიმება...

და ის როგორ იყო, კოცნაზე რომ თქვა უარი? აი, მუცელს ქვემოთ დარტყმაც ამას ჰქვია!

არა, გულიდან უნდა ამოეგდო და საბოლოოდ მიევიწყებინა. ლექსებსაც კი აღარ წერდა. ტაეპი რაა, ისიც კი არ გადაუტანია ქაღალდზე.

რაღა თქმა უნდა, იმ თავის ზმანებებს მხოლოდ მაშინ ეძლეოდა, როცა კეიტის მშვიდად ეძინა. ოღონდ ასეთ დროს ხანდახან იმ კაცის სახელიც წამოსცდებოდა ხოლმე და მაშინ კი მართლა რცხვენოდა საკუთარი თავის. ქათმისტვინა.

და უცებ მოწმენდილი ციდან მეხის დაცემასავით იყო პიტერის ეს მოულოდნელი გამგზავრება ლანდში და ტორონტოში მთელი თვით გადაბარგების შემოთავაზება.

დაჯდა და წერილის წერა დაიწყო. ოღონდ მეტად უცნაური წერილი გამოსდიოდა – არა ისეთი, როგორსაც საერთოდ წერენ ხოლმე. არავითარი „თუ გახსოვართ...“

ვწერ, როგორც რამ მონახევზე –
იმ იმედით რომ დებენ ბოთლში,
იქნებადა იაპონიის ნაპირს უწიოს...

მოკლედ, რაღაც ლექსისმაგვარი – სულ პირველად ამდენი ხნის განმავლობაში.

მისამართი არ იცოდა. იმდენად გათავხედდა, იმ ოჯახში დარეკა, სადაც მაშინ წვეულება გაიმართა, მაგრამ როცა ვიღაც ქალმა აიღო ყურმილი, ყელი გაუშრა და სიტყვა ვერ დაძრა. მერე კეიტისთან ერთად ბიბლიოთეკაში შეიარა და ტორონტოს სატელეფონო ცნობარში ეძება, მაგრამ იქ იმდენი ბენეტი იყო, მტრისას, და თან მათ შორის – არც ერთი ჰარისი თუ ჰ. ბენეტი.

მერე ერთმა საშინელმა აზრმა გაუელვა თავში – ნეკროლოგები ხომ არ ვნახოო. მაგრამ ამდენიც არ დასჭირდა – პირველსავე გაზეთში სტატიას ჰკიდა თვალი, რომელსაც ჰარის ბენეტი აწერდა ხელს. არ მომკვდარა, ცხადია. ოღონდ არც იმის სურვილი ექნებოდა, ათასი ჯურის უსაქმურს მისი ტელეფონის ნომერი ეპოვა ცნობარში და სახლში ერეკა მისთვის. საგაზეთო სტატიების ავტორებისთვის ეს ჩვეული თავის დაზღვევაა, ნამდვილად. თანაც, სულ პოლიტიკაზე წერდა და გრეტას კი ეს თემა საერთოდ არ ანაღვლებდა. აიღო და პირდაპირ რედაქციაში გაუგზავნა წერილი: მხოლოდ ლექსი და მის ქვემოთ – ვანკუვერ-ტორონტოს მატარებლის ჩასვლის ზუსტი დრო და თარიღი. ბოლო-ბოლო, ვინმე არამკითხე თუ გახსნიდა კონვერტს, იფიქრებდა, ალბათ მამიდამისი თუ იწერება წერილებს ასე უცნაურადო. არანაირი მინიშნება თავად ჰარისზე – ხომ შეიძლებოდა, ეს უცნაური წერილი რედაქციიდან სახლში გადაეგზავნათ და საავადმყოფოდან გამოსული ცოლის ხელში მოხვედრილიყო.